

გაზეთის ფასი

თვილისში და გა- რეშე ადგილებში: მაგაზინით	მაგაზინით:
ერთის წლისა — 7 მან.	— 6 მან.
ნახევარის წლისა — 4 —	— 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— 2 —
მართის თვისა — 1 —	— 75 კ.
საკლე ერთის ნომრისა	— 15 კ.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. უსარ განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრუნის ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპა, ასო მთავრულენით — ასობზე 1/2 კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

# დროება

ხელის-მოწერა მიიღება: **საქართველო**  
საქართველო

თვილისში — „დროებას“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კაპა, სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამბატონის სახლში. თვილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ. Въ контору редакцій грузинской газеты „ВРЕМЯ“.**  
ქუთაისში — ბ. ძალანდარაშვილთან (სახლიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან მაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახ-

სტორის ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაზე“ დასაბეჭდად, მაგრამ, რომლისაზე მიზნების გამო, არ დაბეჭდა. თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილ სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.

## საკონსტიტუციო და სალიბერატორო გაზეთი.

ფელიქსადი მენქესე.

### ნახევარი წლის ხელის-მოწერა

### „დროებაზე“

მოიღება თვილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში (ხანის ქუჩაზე, მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში) და

ქუთაისში — გერასიმე ძალანდარაშვილთან (სახლიერო სასწავლებელში).

### ხელ-მოწერის ფასი

მან. კაპ.	
ნახევარ წლისა, გაუგზავნილათ	— 3 და 50
თვილისში და სხვაგან, გაუგზავნილათ	— 4 მან.
შინც მთელი წლის „ტრეზულისა“ და ნახევარი წლის (1 ივლისიდან) „დროების“ დაბეჭდვას მოინდომებს, იმან ვ. ვ. ს. მან.	უნდა გამოგზავნოს „დროებისა“ ან „ტრეზულის“ რედაქციის კანტორაში.

### შინაარსი

რედაქციის განცხადება. — საჭიროა ძველსაში უნივერსიტეტი, თუ არა? საქართველო: ქუთაისის ამბები („დროების“ კორესპონდენცია). — წერილი ამბები. — რუსეთი: წერილი ამბები. — უცხო ქვეყნები: საფრანგეთი, — ინგლისი, — შვეიცარია, — ესტონია და მენგროია, — მსხანია, — იტალია. — ნარევი. — ბიბლიოგრაფიული განცხადებები.

### საპროლა კავასიაში უნივერსიტეტი, თუ არა?

ხალხისათვის კეთილ-დღეობის მსურველნი ათასნაირ სხვა და სხვა საშუალებას გვიქადავებენ და გვირჩევენ ხოლმე ამ კეთილდღეობაში მისაღწევად. ზოგი ამბობს, ხალხს კეთილ-დღეობა მხოლოდ მაშინ მიეწიება, როდესაც ყოველ სოფელში სასოფლო შრომელები იქნება განხილნი; ზოგის აზრით, თუ პურის მალაზიები არ გაიშართა სოფლებში, ხალხის კეთილ-დღეობა ყოველად შეუძლებელია; ზოგი ხალხის ბედნიერებას სასოფლო ბანკებზე აყარებს; ზოგი პოლიტიკურ მდგომარეობაზე და თავისუფლებაზე მიგვივითებენ და სხვ. თითოეული ამ ხალხის მზრუნველთაგანი დარწმუნებულია, რომ ქვეყნის გაბედნიერებას და ხალხის კეთილდღეობით ცხოვრებას მხოლოდ მაშინ მოეწივრება, როდესაც იმათ რჩევას შევისმენთ და სისრულეში მოვიყვანთ.

მართალია, თითოეული ზემოხსენებულ საშუალებათაგანი ხან ცოტათი ხან ძალიან ხელს უშობდა და ეხმარება რომლისაზე ხალხის ცუდი მდგომარეობიდან გამოკვანას. მაგრამ ისიც მართალია, რომ ვერცერთი ამ მკადამებელთაგანი ვერ დაამტკიცებს, რომ ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება და განსაკუთრებით იმის ბედნიერება მხოლოდ იმერეთის საქმის აღსრულებაზე იყოს დამოკიდებული, რომელზედაც ის ხელს მიგვიყვანს. ადამიანი და ხალხი მაშინა კი არაა, რომელსაც ხშირად მხოლოდ ერთი მანქნით დაბრუნებს და ახმუშავებს კაცთ ხალხის ცხოვრებას ისეთი რთული რამაა, იმის დატრიალებას იმ-

დენი სხვა და სხვა ჭახრებები, მანქნელები და ხან ჩაქუჩები სჭირია და სატიკერებს იმდენ-ნაირი წაშლები, რომ მხოლოდ იმას, ვისაც ამ რთული ცხოვრების გაგება არა აქვს, შეუძლია სთქვას, რომ ხალხის ცხოვრების გაუმჯობესობისათვის მხოლოდ ერთი რომელიმე საგანი საჭიროა.

შველა ამ ნაირ-ნაირ საშუალებების ცხოვრებაში აღსარულდობლათ საჭიროა, რომ საზოგადოებას კაცები ყვანდეს, საჭიროა ისეთი კაცები, რომელთაც ხალხის კეთილდღეობისათვის შესტიოდეთ გული და იმის დახმარებისათვის საქამო ცოდნა და სურვილიც ჰქონდესთ.

ამისთანა კაცებს საზოგადოებას უმალესი სასწავლებლები უშუადებენ, და ამ სასწავლებლებში პირველი ადგილი, უყველია, უნივერსიტეტს უჭირავს. მართლაც კარგ უნივერსიტეტსავეთ, ყმაწვილ კაცს ვერც-ერთი სხვა სასწავლებელი ვერ გაუხსნის გონებას და ვერ გააგებინებს ხალხის საჭიროებას და მოთხოვნილებას; თვით ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნას გარდა, ყოველ ყმაწვილ კაცს ის პატიოსნების და მოქალაქეობის თესლოს უნერგავს გულში, დე ეს თესლი, თუ კარგათ შემუშავებულ ნიადაგზე დაეარდა, დარწმუნებული იყავით, ყოველთვის სასარგებლო ნაყოფს მოიტანს \*).

როგორ გგონათ, ამისთანა საზოგადო საქმეებისთვის გულ-შემატყვიარი კაცები და მასადაამე ამისთანა კაცების აღმზრდელი და გამარცხლებელი უმალესი სასწავლებელი სჭირია ჩვენს ქვეყანას, თუ არა?

მს კითხვა ისე ცხადია, რომ ამის წინააღმდეგი გვეგონა, ერთი არ ამოჩნდეს არც ჩვენ მკითხველებში და არც საზოგადოთ სხვებში, რომელთაც ცოტათი მაინც კი გაეგებათ ჩვენი ახლანდელი მდგომარეობის ამბავი, და ამიტომ იმაზე პასუხსაც არ მოგცემთ.

მიტყვიეთ მხოლოდ, რომ ძველსაში უნივერსიტეტის გახსნა ძლიერ გაუადვილებდა ჩვენს მამებს შეიღების აღზრდას და ჩვენს ახლანდელ მამებს — უმალესი სწავლის მიღებას. უნივერსიტეტი გააჩნდა ჩვენში გონებით ცხოვრებას და ქუთის მოძრაობას; უნივერსიტეტის შემწევობით, ჩვენი მეურნეობა, ჩვენი ვაჭრობა, ჩვენი საზოგადო ცხოვრება წინ წაიწვია; უნივერსიტეტის წყალობით, ჩვენ გაიცნობდით ჩვენ თავს, ჩვენ შევეცდებოდით — ჩამდენი სიმდიდრე, ჩამდენი სიუხვე მოუტია ჩვენი ქვეყნისთვის ბუნებას — და მისივე შეწყვენით, ამ სიმდიდრის გამოუყენებას დაღისწავლიდით. მართი სიტყვით, ვერ ჩამოთვლის კაცი იმ სარგებლობას, რომელსაც ჩვენ უნივერსიტეტი მოგვტანდა. ჩვენი აზრით, ის ჩვენში მმართველობასაც და ქვეყანასაც უფრო მოამტებულ სარგებლობას მოუტანდა,

\*) თუ ზოგიერთი ჩვენი ახალგაზდების მაგალითი არ ამარტობს ამ აზრს, თუ ზოგიერთი უნივერსიტეტში კურს-გათავებული ჩვენი ყმაწვილები მხოლოდ თავის მუცლისა და გულის, და არა საზოგადოების, საზოგადოებრივ უფლებებს — ამის უმთავრესი მიზეზი ხშირად იყო, რომ ისინი თავიდავმე არ იყვნენ კარგათ მზრუნველნი კეთილი თვისის მისაღებად. ამას გარდა „ბეჭერ“ კარგში „რამდენსამე“ უხეროს ყოველთვის უნდა მოვლოდენ კაცი.

ვიღრმ რომელიმე შახანის, ხარკოვის და იქნება ზოგიერთი სხვა ქალაქების უნივერსიტეტები.

შესაძლებელია ჩვენში უნივერსიტეტის გახსნა, თუ არა? თუ ძივეში, შახანში, ხარკოვში, ოდესაში შესაძლებელი იყო, თვილისში რატომ არ შეიძლება? იქნება ზოგიერთებმა სთქვას, რომ სხვა უნივერსიტეტშიაც ნაკლებათ არიან პროფესორები, თორემ ჩვენსაში ვინღა მოვაო? იქნება ისიც სთქვან, რომ მოსწავლეები ნაკლებათ იქნებიანო?

რაც შეეხება პროფესორებს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, პეტერბურგსა და ოდესას გარდა, უმეტესი ნაწილი პროფესორებისა ჩვენში უფრო დიდის სიმძიმეებით წამოვლენ, ვიდრე დანარჩენ პროვინციების უნივერსიტეტებში. რატომ, იკითხაეთ? იმიტომ რომ ჩვენი ქვეყანა ყოველგვარ სწავლულს აუარებულ და ჯერ ხელ-უხლებელ მეცნიერების საზრდას და მასალას წარმოუდგენს. რუსეთში ძველსაში მგორე მხარე არ მოიპოვება, სადაც ამდენი ბუნების სიმდიდრე, ნაირ-ნაირი მოვლინებები, ნაირ-ნაირი პირუტყვები, მცენარეები და მანდულები იპოვებოდეს და სადაც ისე ნაკლებათ იყვნენ ესენი გამოკვლეულნი. მასადაამე, ჩამდენ მასალას იპოვიან ჩვენში ბუნების-გამომეძიებელი პროფესორები? სხვაგან ასე პატარა სივრცეზე სად იპოვით იმდენ სხვა და სხვა ტომის ხალხებს, ათას-ნაირ ენებზე მოლაპარაკეს და ათას ნაირი ჩვეულებების დამფარველთ? მასადაამე ფილოლოგები და ლინგვისტები ჩამდენ მასალას მოკრეფენ აქ თავიანთი მეცნიერებისთვის? აგრეთვე მატემატიკისა და სხვა ფოკულტეტების პროფესორებიც, უყველია, დიდის კმაყოფილებით წამოვლენ ჩვენში.

სტუდენტების ნაკლებობის შიში კი სრულიად არ უნდა გექონდეს. მაშინაგარიშეთ — ჩამდენი გიმნაზიები ძველსაში, ჩამდენი ყმაწვილი კაცი ათავებს იმათი ყოველ წელიწადს კურსს და დარწმუნებით, რომ ჩვენი მომავალი უნივერსიტეტის აუდიტორიები ცარიელი არ დარჩებიან.

ჩვენ შევეცეთ, რომ წელს მარტო თვილისის კლასიკურს გიმნაზიაში ორმოც ყმაწვილს გაუთავებია სწავლა; ქუთაისის გიმნაზიაში კი ამაზე კიდევ უფრო დამეტებულს — ორმოცდა ხუთს. ახლა სტავროპოლის გიმნაზიაში, ბაქოს, მრეწვის, მლადიკავკასის გიმნაზიაში და პროვინციებში ჩამდენი გაათავებდა! მარტო ქუთაისის გიმნაზიაში, როგორც გვიამბებს, წელს ოცდა ხუთი ახალგაზდა მიღის თუ რუსეთში (მოამტებელი ნაწილი თავის ხარჯით, ოთხი თუ ხუთი სახელმწიფო ხარჯით) და თუ სამზღვარს გარეთ (ოთხი მიღის). ორმოცდა ხუთ კაცში ოცდა ხუთი მიღის ცხრა მთას გადალმა უმალესი სწავლის მისაღებად! ჩვენი აზრით, ესეც ძალიან ბევრია; მაგრამ თვილისში რომ უნივერსიტეტი იყოს, უყველია, თითქმის ყველა ორმოცდა ხუთი მოახერხებდა იქ შესვლას, რადგან ამისთვის იმდენი ღონის-ძიება არ დასჭირდებოდათ. გიმნაზიაში კურს-შესრულებულებს სემი-

ნარიელები და შინ მომზადებულნი რომ მიუშობოთ, არ შეესცებით, რომ ესთქვათ, რომ ჩვენ უნივერსიტეტზე ყოველ წელიწადს ასიღამ — ას ორმოცამდა ათამდე შევლენ, და ამაზე მოამტებელი არცერთ სხვა პროვინციულ უნივერსიტეტში არ მიღის.

მაშა სადამე არც ამ მხრით წარმოგვიდგება რამე საფიქრებელი და საეჭვო. საფიქრებელი, თუ არის რამე, ისე უნივერსიტეტის გასახსნელათ ღონის-ძიების მოპოებაა, რომელიც კარგა ბლომათ სჭირდება ხოლმე, განსაკუთრებით პირველ დასაწყისში. მაგრამ ამ საგანზე დღეს ჩვენ ვერაფრის თქმა ვერ შეგვიძლია.

6.7/6

### საქართველო

#### ქუთაისის ამბები

(„დროების“ კორესპონდენცია)

თვილისში თქვენ, უფალო რედაქტორა, ამ ჟამათ ამბებს მოკლებული უნდა იყოთ. იმ დღეს რომ მე თვილისი ვნახე, სრულიად დაცარიელებული იყო; მისი მცხოვრებნი ზოგი ბორჯომს წასულან, ზოგი ძოჯორს, ზოგი მანგლისს, ზოგი სად და ზოგი სად. მისი მოქმედება და საქციელიც კურადლების მისაქცევი იყო, იმათ თითქმის ყველას მიუტოვებიათ თვილისი; შიგ მარტო „უბრალო ხალხი“ დარჩენილა, ისეთი, რომლის ამბები არაფერს არ მიანიხსნისა. მაშ თქვენ ეხლა ამბების დამწეული იქნებით; და დიდის მაღლობით და სიხარულით მიაქცევთ ყურადღებას ჩვენს მარად მოძრავ და ცოცხალი ქუთაისის ამბებს.

დღევანდელ ლიტერატურით და გათავებ პოლიტიკით. იმ დღეს უფ. შახელმა წაგვიკითხათ თავისი ახალი თარგმანი ლერმონტოვის „დემონისა“. მარადწყვეტით შემოძლია გითხრათ, რომ ჩვენი ღარიბი ლიტერატურისთვის ეს ჩინებული მოპოებაა. თუმც „დემონს“ ჩვენ დროში გვირჩინათ გაუთხებლად და შემოაკლდა თავისი უწინდელი მნიშვნელობა, ის მნიშვნელობა, რომელიც ამას წინათ სძრავდა მთელ განათლებულ საზოგადოებას, მაგრამ ჩვენებური მკითხველისთვის ეს მნიშვნელობა ჯერაც არ გამოქრალა, და „დემონური“ ოცნება და სიყვარული ჯერაც საკეთილოა ჩვენთვის. ალბათ ამ აზრს უხელმძღვანელებია უფ. შახელის კალიმისთვის, „დემონის“ გადმოთარგმნის დროს. — ლერმონტოვის „დემონი“ ქართულ ენაზე სწორეთ თავის შესაფერ გაწყობილებაში გამოდის. უფ. შახელის ლექსი ამ თარგმანში ისეთი მსუბუქი და გრძობით საესეა, მისი გამოთქმა ისე საკვირველად უახლოვდება ლერმონტოვის აზრს და სიტყვასაც, რომ მკითხველი გაკვირვებული რჩება, რა ნაირათ მოახერხა უფ. შახელმა ქართული ენის და ლექსის ამ რიგათ დახველა და შემუშავება.

თარგმანთან უფ. შახელმა წაგვიკითხა ორი-ორე საკუთარი ლექსიც, მე უწინაც წაკითხული მქონდა ჩამდენიმე დაბეჭდილი ლექსი უფ.



შაზელისა, და იმ ლექსების წაკითხვიდან ის აზრი დამრჩენია, რომ უფ. შაზელი ნიჭიერი კაცია, რომელსაც ხშირად ნამდვილი პოეზიის ნაპერწკალი ჩაუნთია თავის ლექსებში. უფ. შაზელის ლექსში მე ხშირად იმ ნაკლულევა-ნებას ვხედავდი, რომ მისი გრძობა, მისი ნდობა, სურვილი, რაღაც ნაირ ბურულში სწნდა, ნისლიანი იყო, და ამას გამო საკმაო შთაბეჭდილებას ვერ სტოვებდა მკითხველის გრძობაში და ტენში. ამ საზოგადო ნაკლულევა-ნებას ისიც აძლიერებდა, რომ უფ. შაზელი ხშირად ურევდა თავის ლექსებში მთელ სტრიქონებს ძველებური ენით და კილოზე დაწერილს. მაგრამ, საზოგადოთ კი, მის ლექსში ნამდვილი გულის ტანჯვა, ნამდვილი გრძობის ფეთქება იმდენად, ისეთი, რომლის მიბძვა, რომლის გამოგონება ყოველთვის შეუძლებელია და ყოველთვის ცივად სტოვებს მკითხველის გულს. შაზელის ლექსი კი ხშირად აღლვებდა კაცს და ხანდისხან ხანგრძლივ შთაბეჭდილებასაც სტოვებდა მასში.

მით უფრო მამა მე ეხლა ის გარემოება, რომ ეხლანდელ მის ლექსებში—თუ მეტის-მეტათ არ ვსცდები—სწინას ახალი სტალია მისი ნიჭის გახსნისა. ზერ ეს უნდა გითხრათ, რომ იმ ორიოდე ლექსში, რომელიც იმან ეხლა წაკვირებთ, მე იშვიათად შემხედვინა უსარგებლო, ნამეტანი სიტყვები და სტრიქონები. ჩვენ პოეტებს (ან, უკეთ ესთქვა, სუტ-პოეტებს) ისეთ ნაირად უჭირთ ლექსის გამოყვანილობა, რომ რითმის ან კუბლეტის გულისთვის ისინი სიტყვების ან ფრაზების გამეორებას, სიუხვეს როდი ზოგვენ. მათთვის უმთავრესი საქმე ის კი არაა, რომ რომელიმე პოეტური აზრი ან სურათი რაც შეიძლება უფრო ნათლად და მშვენიერად გამოხატონ, არა. ისინი ცდილობენ ოთხ-ოთხ ან ექვს-ექვს სტრიქონიანი კუბლეტები შეადგინონ, თანა-სწორ მარცვლებიანი და რითმით დაბოლო-ვონ. მაშინვე თუ არა ხეირიანი სურათი, გამოითქმება თუ არა ნათელი აზრი, იმპიქმე-დების თუ არა კაცის გრძობაზე, — ამას ჩვე-ნი ლექსების ფაბრიკანტები არ დაეძებენ. ამ ცოდვაში კისრამდი ჩაფლული არიან სხვა და სხვა წყალტუბლები, მოენიძებები და იმით მსგავსი სუტ-პოეტები. მასაკვირველი ისაა, რომ ამ ცოდვაში ხანდისხან ისეთი ნიჭიერი მწერლებიც ადგაძენ ფეხს, როგორც ა. წერეთელი და შაზელი. ჩვენს ლიტერატურა-ში ამ ცოდვაში უმანკოთ დარჩა მარტო ნ. ბარათაშვილი და ილ. ჭავჭავაძე, და მე მეტის მეტას სიამოვნებით ვნიშნავ, შაზელის უკანასკნელი ლექსებიდან, რომ იმას ამ ცოდვაში ხელი გაუბანია, და ამ მხრით დაამხანაგებია ამ უკანასკნელ პოეტებს.

არ შემძლია არ შენიშნო აქ, რომ ლექსის გამოკვანილობას, ფაქტურას, დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურაში. ლერმონ-ტოვის ღირსება რუ ულ ლიტერატურაში, მისი შინაარსის გარდა, იმაზე იყო დამოკიდებუ-ლი, რომ ეს პოეტი სწორეთ „ფოლადის ლექსს“ სწერდა, ისეთ, რომელსაც ნამეტანი სიტყვების უქონლობა და გარეგნა შემუშა-ვება სურათებსა და აზრებს გასაკვირველ ძალას და სიმაგრეს აძლევდა. ამ მხრით იმას რუსულ ლიტერატურაში თითქმის არაინ უდ-გია გვერდით, როგორც ფრანკულულ ლიტე-რატურაში ამ თვისებით ყველაზე უფრო მღ-ლა სდგას ბარბიე და ნემეცურში—შილდე-რი. ცუდი როდი იქნება, ჩვენმა პოეტებმაც რომ მიპქიონ ცოტადენი ყურადღება ამ თვისებას, და უფ. შაზელის მაგალითს მიყვენ, რომლის ლექსები, დამჯერეთ, დად ღირსე-ბას შეიძენენ ამ გვარს შემუშავებით.

თუ ვ დლიერაც რომ დამედუროთ ამ გრ-ძელი საუბრისათვის ლიტერატურაზე, მაინც განვიგრძებ, რომ, ჩემი აზრით, „ლემონის“ თარგმანს და ლერმონტოვის ლექსების კითხ-ვას მოუხდენია უფ. შაზელში ეს სასარგებ-

ლო წინ-წაწევა. აქედან მე ის დასკვნა მინდა გამოვიყვანო, რომ თუ ნამდვილი ნიჭის პატ-რონს და გრძობის ცხოვრებაში გამოცდილს უფ. შაზელს სარგებლობა მოუტანა ხეირიანი პოეზიის გაცნობამ და გადმოთარგმნამ, რას დააშავებენ ზოგიერთი ჩვენი ლექსების მწერ-ლები, მის მაგალითს რომ მიყვენ, და სუსტი ლექსების წერის მაგიერ ხეირიანი ლექსები სთარგმნან! ამითი, მგონია, მათი საკუთარი ლექსების ღირსებაც გაძლიერდება. შექველია, უფ. წყალტუბელმა (მაგალითად) ათი ათასი პოემაც რომ გადმოთარგმნოს, პოეტურ ნიჭ-მაინც ვერ შეიძენს, მაგრამ რათ არ სცდის ამ საქმეში თავის ძალას, მაგალითად, უფ. მ. შალადილელი, რომლის ლექსებში სწნდა ცო-ტადენი ნიჭი, და რომლის ნაკლულევა-ნება მხოლოდ ის იყო, რომ გრძობის და აზრის ცხოვრებაში ის სრულიად გამოუტყდელი და უმეცარი იყო?

მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ, უფ. რედაქტორო, თქვენი მკითხველებითურთ, სრუ-ლიად დამეთანხმებით ამ ჩემს სჯავზე განსაკუ-თრებით მაშინ, როცა „ძრებულში“ წაკითხ-ხეთ „ღემონის“ თარგმანს და უფ. შაზელის ლექსებს. (მე დამაიწყდა მეთქვა, რომ ეს ლე-ქსები და თარგმანი გადმომცა მე უფ. შაზელ-მა „ძრებულისთვის“).

ძმარა ლიტერატურაზე. მრირადე სიტყვაც ეთქვათ აქურ ცხოვრებაზე. იცით, რაზე ლა-პარაკობს მთელი ქუთაისი ამ ორი კვირის განმავლობაში? აი რაზე.

ქუთაისის უფხვში, ნაქერალის მთის ძირში, ტყეებულას, ორმოცდა ხუთში გამოჩენილა ქვის ნახშირი ჩინებული ღირსების, ისეთი, რომ ნიუ-ქესტლის ნახშირს არ ჩამოუყარ-დება. შესანიშნავია, რომ იმ მთას, რომელში-ც ეს ნახშირი იპოება უ რ გ ე მ ის გ ო რ ა ს უძ:ხოდენ. მაშინ მთავრობას მოენდობა ამ ნახშირის ზიდვა, და პირობა შეეკრა მებატო-ნებთან ამ საგანზე. მებატონებს თთ, აგია-შვილებს და ძანდელაკებს წამოდაეხათ მა-შინ მათი გლეხები, მასრაშვილები, უჩივლიათ, და ბოლოს ორმოცდა ექვსში მორიგებულან, იმ პირობით, რომ მებატონებს მიუციათ მო-რიგების პირობა: „ნახევარი თქვენ და ნახე-ვარი ჩვენო.“ შემდეგ მოხდა ომა, მთავრო-ბამ ნახშირის ზიდვას თავი დაანება, რადგანც იმას შავ ზღვაზე ფლოტი მოესპო, და საქმე გაუყრდა. ამ სამი წლის წინეთ მოსულა აქ უფ. ნოვოსელსკი, რომელიც რუსეთში ცნობილია მრავალი კომპანიების გაწყობით და დანგრე-ვით, და მორიგებია მარტო უფ. ძანდელაკებს და აკაშვილებს, იმ პირობით, რომ 19 იე-ნისს 1871 დამიტკიცეთ ნასყიდობის წერილი და მიიღეთ ოთხმოცი ათასი მანეთიო. ნახში-რის მთა კი, სულ ცოტა რომ თქვას კაცმა, ათ შადენათ მაინც ღირს. მაშინვე, რასაკე-რ-ველია, მასრაშვილებმა ხელახლად დაე ატე-ხეს. იმათ გარდა, გაყიდვებებს წამოედავა ერთი მათა ნათესავი, სოლომონ ნიჯარაძის ქერივი, რომელსაც თურმე მეექვსედი ნაწილი ჰქონია ნახშირითი ამ მამულიდან. ბუცდა ერ-თი უშველებელი აყალ-მაყალი, გაყიდვლე-ბმა დამტკიცება მოინდომეს ნასყიდობისა, მა-გრამ ვერ მოახერხეს, და ეხლა არის ქუთაის-ში ერთი დაუბოლოებელი სჯა ამ საგანზე. საზოგადო აზრი ისაა, რომ „ამ კაცებს რა და-ემართათ, ფული აქეთ ასაღები და გასაყფო, და აღებას ვერ ახერხებენო, თითქო ეს ძნე-ლი საქმე იყოსო.“ ამ ნაირი სულწაღლი ჯა ჩინებულათ გეხატავს ჩვენებურ ხასიათს. მღონდ კი ფული ჩაიგდოს ჩვენებურმა კაც-მა ხელში, და ცოტა იქნება თუ ბევრი, წამ-წარდება ის როდისმე თუ არა, ამას ის როდი დაეძბს. საკვირველი ამ საქმეში ის არის, რომ ჩვენი უმჯობესი სიმდიდრე, სეთი, რომ ბევრატურა იკიდებს ტყეში, სანამ იმის მ-გა-ესი რამე გამოჩნდება ჩვენ ქვეყანაში, ჩვენი ხე-ლიდან გადის, და კაცი იმას არ კითხულობს,

სახეიროთ გადის ის ჩვენი ხელიდან, თუ საე-ნებლათ, გაგვაკეთებს ჩვენ ეს გაყიდვა, თუ გაგვაფუტებს! როცა ამ საქმეზე სჯას ყურს ეუფლებ, ხშირად მახსენდება იმ ელეური ხალ-ხის სიხარული, რომელთაც ევროპიელები ორ-ფარიან ტატილოებს და სარკეებს აძლევენ, და სამაგიეროთ წმინდა ოქროს და ძვირფას სპილოს კილებს ართმევენ, ხანდისხან კიდევ შეილებსაც, ტყვეთ გასაყიდვლათ... .

შექველია, უფ. ნოვოსელსკის ვერაინ უზ-რახანს მის მოქმედებას, ამიტომ რომ, რო-გორც მოვეჭრე, ის სცდილობს რაც შეიძლე-ბა უფრო იაფათ შეიძინოს მამული. მაგ-რამ გასაკვირველი ის არის, რომ გამყიდვე-ლები არც იმას ეძებენ, რომ ჯერ ნამდვილათ ამოხნდეს—იმათა ეს მამული თუ სხვისი, არც იმას, რომ შეიტყონ, რა ღირს ის მამული, რა სიმდიდრეა შიგ, და შეიძლება თუ არა სხვაგან უფრო სახეიროთ მისი გაყიდვა... . მაგრამ ესეც მათი საქმეა, იყავნ ნება მათი... .

მხლა რამდენიმე სიტყვას იმის თაობაზედაც გეტყვით, თუ რა მიზეზით ფიქრობს ქუთაისი, რომ სჯობს გამყიდველებმა ეხლავე ფული აი-ღონო. „შული“, უნდა იცოდეთ, აქური ნა-ტერის თვლია, და სწორეთ ნატერის თვლი-ვით გაძვირებულა. ქურებში თითს დაიცობთ, რომ შეიტყონ, რა პირობებს აძლევენ მსეს-ხებლები მასესხებლებს და რა სარგებელს იხ-დიან ხასეს ფულში. წარმოიდგინეთ, რომ აქ იშვიათი არ არის ფულის სესხება თუ მან ში მან ეთათ თე ვი! მთი შაური და ორი აბაზი ხომ ეხლა ფულის მზანდაა. ძლიერსა-ლი კაცი აბაზზე და ექვს შაურზე ნაკლებ აქ ფულს ვერ იშვავს, იმასაც გიროათი. სულ უკანასკნელი სარგებელი მაშ ოცდა ხუთი პროცენტი ყოფილა; და ისე ვექსილი არ და-იწერება აქ, ზედ რომ ცალკე პირობა არ და-იწეროს, რომელშიაც გამოიყვანება, რომ თუ ვადაზე ფული არ გარდაგინადე, ამდენი და ამ-დენი შტრაფი ეხსილო დღეშიო. მაშინ სულ ერთიანთ ას პროცენტზე მეტი, ხანდისხან! ასე გაძვირებულა აქ ფული, ასე დამშეულია ამ საგანზე ჩვენი ქუთაისი. სოფლებში, თურმე, ფული მამასისხლის ფასათ ღირს. წარმოიდგი-ნეთ, რომ იქ ასი პროცენტი სულ უკანასკნე-ლი, იაფი ფასია, და ერთ გლეხს ვერ ნახე თურმე, რომ კისრამდი ჩაფლული არ იყოს გაღუბდელ ვალში... . პუნაურებზე და თავა-ღებზე, რაღა ლაპარაკი უნდა. მე ნამდვილათ და ზედმიწევნით ვიცი, რომ რვა და ცხრა თვის განმავლობაში ასი თუმანი, ნასესხი ფუ-ლი, ორასათ გამხდარა და უმეტესი ნაწილი მებატონებისა ამ რიგათ ჩავარდნილა! „ურ-ის ვალში“, შესანიშნავი ის არის, რომ „ური-ობას“ ამ საქმეში მარტო ურები კი არ შერე-ბიან. ზოგიერთ ჩვენებს ურებზედაც გადა-უქარებიათ, მერე როგორებს, რომ იცო-დეთ!... ტყუილი კი არ უთქვამთ და შეუნიშ-ნავთ ჩვენ წინაპრებს, რომ ქრისტიანი რომ გათათრდება, თათარზე უარესი არისო!

მით უფრო შესანიშნავი და აღმატარებე-ლია ის ერთგული და ერთსული მზადება, რო-მელიც ატყვია ეხლა ქუთაისის ხელმწიფის მი-საღებლათ. შეველა ერთნაირათ ვმზადება ღირ-სეულათ და საკადრისათ მიიღონ ხელმწიფის სახლობა, და არაინ არ ზოგავს ხარჯს და შრომას ამ მოსაწონ საქმისთვის. ამ მზადე-ბაში სწინ ჩვენი იმერული ხასიათი, რომე-ლიც დარწმუნებულია, რომ რაც უკეთ მორ-თული და მოკაზმული იქნება, რაც უფრო აღდგისიანათ და დიდკაცურათ აჩვენებს თავს, მით უფრო ამებს შავგუსტოვას სტუმრებს... . ამ მშვენიერი აზრით ამზადებენ სახლს, სა-დაც უწინ გუბერნატორები იდგენ, მაგარინის დროს,—მის გაწყობილებას მოუნდება ბევრი, ბევრი ათას ხუთასი თუმანი. ამზადებენ სა-დილს ან ეახშამს, ბაღს, ცოცხალ სურათებს ქართული ტიპებით, მარგალიტით ნაქარ ლე-ჩაქებს, ოქროთა ნაქსოვ კაბებს, ერთი სიტყ-

ვით, მზადება მეტის-მეტო, შესანიშნავი და მოსაწონარი. მაქრები დაგანსაკუთრებულ ურე-ები დაფრინავენ სიხარულით. და თუ გნე-ბავთ, რომ ერთი სიტყვით, ერთი სურათით გამოგინატოთ საზოგადო აღტაცება და თავ-დადებულება ამ სასიხარულო შემთხვევისთვის, მოგახსენებთ, რომ თავდაზნაურობამ გადა-წყვიტა ბანკისთვის დანიშნული ფულების და-ხარჯვა ხელმწიფის შესაგებებლათ. ამ ფუ-ლისგან ზოგი ამზობენ, ოცდა ხუთი ათასი მანეთი აიღესო, და ზოგი კი—ორმოცი ათას მანეთს ახსენებენ. ნამდვილ რიცხვს კი მე ვერ გეტყვით, ამიტომ რომ ნამდვილი რიცხვი ბოლომდის არ გამოჩნდება... .

მრთი სიტყვით, აღტაცება და თავდადებუ-ლება საზოგადოა. არეინ არ ზოგავს თავის უკანასკნელ ფარას და უკანასკნელ ქცევა მი-წას ღირსეული და მოსაწონი შეგებების გა-მართვისათვის.

ამბები აქ სხვაც ბევრია, მაგრამ ყველას ან ეინ მოგწერსთ, ან ეინ დაბეჭდს... .

27 იენისს. ნ. სკანდელი.

ხელმწიფე იმპერატორის მობრძანებას მთი-ლისში სექტემბრის დამლევს მოელიან. ხელ-მწიფის შეხვედრისათვის მთილისში და რო-გორც დღევანდელი კორრესპონდენტი იმდამ გაიგებს მკითხველი, ქუთაისშიაც დიდი მომ-ზადება არის. მაგრამ ერთი კერძო პირისგან მოვიდა მთილისის წიგნი პეტერბუღიდან, რომელშიაც ეს პირი იწერება, აქ გავარდა ხმაო, ვითომც შეიძლება ხელმწიფე იმპერა-ტორს ამ შემოდგომაზე დაეკასიანში წაბრძანება არ მოუხდესო.

სამხედრო მინისტრი, მილიტინი, როგორც ვაზ. „მაცასს“ გაუფონია, შავი ზღვის ნაპი-რების დასახედავით დაიგლის ამ ზაფხულსაო.

რუსეთის ცეხლის გემებისა და ვაჭრობის საზო-გადოების დირექტორს, უფ. ჩინაოფს რამდენიმე იმე-რული, მგერული და გურული მიუღია მატროსებათ და კაჩერებდა იმ გემებზე, რომელნიც ბათუმიდან საზღვამდი და საზღვიდან შოთამთა და რომზე და-იარებინან. მრთი „მაცასის“ კორრესპონდენტი იწერე-ბა შოთიდან, რომ ეს ახალი მატროსები და კაჩერე-ბი ძალიან კარგათ და დიდის სიმაჯითი ასრულებენ თავიანთ ვალდებულებასო. მითოეულს იმათაანს, სასმელ-საქმელს გარდა რვა მანეთი ეძლევათ თვეში ჯამაგირი ძალიან კარგი საქმეა: მოგაზაურობა და უცხო ქვე-ნების ნახვა ქუთას უფარჯიშებს და გონებას უხსნს კაცს.

მრთის რუ ულ ვაზეთში სწერენ, რომ ამ მოკლე ხანს პეტერბურში გამოვა ერთი წიგნი, რომელსაც შინაგანი საქმეების სამი-ნისტრო სცემს და რომელიც სამიხრის, ბალ-ტიის გუბერნიების და დაეკასიის მხრის მცხო-ვრებლების ეკონომიურ მდგომარეობის შეე-ხებაო.

იენისის 25-ს ჩვენ ქალაქში პეტერბურლი-დამ ზღვის მინისტრი—ძაბბე—მოვიდა და სამი დღის შემდეგ ბორჯომს წავიდა. ზოგი-ერთს რუსულ ვაზეთებში სწერენ, რომ ძაბ-ბე შავი ზღვის ნაპირების დასახედავით მო-ვიდაო.

აქურმა ტენიკურმა საზოგადოებამ წელს ერთი ძალიან სასარგებლო საქმე ითავა: 1 იანერიდან იმან მთილისის კლასიკურ გიმნა-ზიასთან საკვირაო ხელისულების შეკოლა გახ-სნა, რომელშიაც ოსტატების შაგირდები და

იარებთან და ამ თავით წერა-კითხვას, ღურგ-  
ლობას და მკედლობას ასწავლიან. ზერ-ჯერ-  
ობით შკოლაში მარტო 14 შაგირდი დაი-  
არბეს; ამ რიცხვში 5 რუსია, 4 ქართველი და  
5 სომეხი. ასწავლიან მხოლოდ კვირაობით,  
ექვს საათს; ორ საათს წერა-კითხვას და ოთხს—  
ხელოსნობას. შკოლა არსებობს ტენიკური  
საზოგადოების ხარჯით, ჯერ-ჯერობით იმას  
სხვა შემოსავალი ძალიან ნაკლებია აქვს,  
რადგან შაგირდებმა ისე კარგათ არ იციან ხე-  
ლობა, რომ იმათი ნახელსაქმარი რამე გაი-  
ყიდოს და აქედამაც შკოლას შემოსავალი ექ-  
ნეს. შკოლას ინსპექტორი, უფ. ჟონ-დერ-  
ნონე აცხადებს „მაკაშვი“ რომ ამ ქმად  
შკოლას თითქმის ყოველი საშუალება შემო-  
ვლია და მომავალი წლიდან იძულებული ექ-  
ნება მმართველობას მიმართოს ღონისძიების  
მიცემისთვისაო.

ამ ნაირი სახელოსნო შკოლები განათლე-  
ბულ ქვეყნებში მარტო შაგირდებისთვის კი  
არა თვითონ მოზდილი სხვა და სხვა ხელო-  
სნობის მუშებისთვისაც არიან გამართულნი, და  
იმათ დიდი სარგებლობა მოაქვთ, რადგან,  
უეჭველია, წერა-კითხვისა და ხელოსნობის  
კარგათ მკოდნე მუშა უკეთ იმუშავებს და  
უფრო მომეტებულ სარგებლობას მოუტანს  
საზოგადოებასაც და თავის თავსაც, ვიდრე  
უსწავლელი და თავის ხელობის ცუდათ მკო-  
დნე. ამიტომ სასურველია, რომ ეს ჩვენი პი-  
რველი საკვირაო ხელოსნების შკოლა ამ თა-  
ვითვე არ მოისპოს, რადგან ამ გვარი შკო-  
ლებით გავრცელებული ხელოსნობის სწავლა  
ჩვენ ხალხსა და ქვეყანას უთვალავ სარგებ-  
ლობას მოუტანს.

\*\*\*

### რუსეთი

როგორც ჩვენმა მკითხველებმაც იციან,  
სახელმწიფო რევეში სახალხო განათლების  
სამინისტრომ შეიტანა ახალი წესდებულება  
კლასიკური და რეალური გიმნაზიების თა-  
ობაზე. ამას წინათ ვახუშტის სწერდნ, რომ  
სახელმწიფო რევეის კამისიამ ეს საქმე რეა-  
ლური გიმნაზიების სასარგებლოდ გადაწყვი-  
ტაო, ე. ი. ახალი წესდებულების ძალით, რეა-  
ლურ გიმნაზიებში კურს შესრულებულებსაც  
უნივერსიტეტში შეიღის უფლება უნდა მის-  
ცემოდო. მაგრამ ახლა აი რას ჰსწერენ  
„პეტერბურლის უწყებებში“: „ჩვენ გავგონეთ,  
რომ ახალი პროექტის ძალით, უნივერსი-  
ტეტებში შესვლის უფლება მხოლოდ იმ ახალ-  
გაზდა ყმაწვილკაცებს ექნება, რომელნიც  
კლასიკურ გიმნაზიებში გაათავებენ სწავლას  
და ბერძნულსა და ლათინურ ენებს ისწავ-  
ლიან. ეს პროექტი სახალხო განათლების  
მინისტრის იყო. მაგრამ რეალური გიმნაზიე-  
ბის თაობაზე სახელმწიფო რევეს ჯერ არა  
გადაუწყვიტარა. რადგან კლასიკური გიმნა-  
ზიების წესდებულება მერობიული გიმნაზიების  
წესდებულებიდან არის გადაწერილი, სასურვე-  
ლია, რომ რეალური გიმნაზიების წესდებუ-  
ლებაც იქიდანვე იყოს გადმოწერილი და არა  
შერდგეს ისე როგორც „მოსკოვის უწყებები“  
ურჩივენ. ჩვენ ენახათ—რამდონ ხანს ვაძღვ-  
ებენ ჩვენში კლასიკური გიმნაზიები. როგორ  
მალე და რანაირათ გამართებიან ჩვენში  
კლასიკური გიმნაზიები, შეუძლია წარმოიდ-  
გინოს კაცს, თუ მოიფიქრებს, რომ ჯერ  
ახლაც დიდის გაჭირვებით ვპოულობთ ლათი-  
ნური და ბერძნული ენების მასწავლებლებს,  
რომელთაც შერმანიდამ და ჩეხილამ ვი-  
ბარებთ...“

\*\*\*

სახალხო განათლების მინისტრი სამზღვარს  
გარეთ წაუღია; იქვე წასულა უ. ბიორგიე-  
სკი, რომელიც რეალური სასწავლებლების  
გასაცნობათ გაუგზავნია განათლების სამინის-  
ტროს. რეალური გიმნაზიების საქმე სახელმ-

წიფო რევეში შემოდგომამდე არ გადაწყდება.  
შარშანდელი წლის განმავლობაში ხარკო-  
ვის გუბერნიის ერობას სახალხო განათლე-  
ბისათვის—63,440 მანეთი დაუხარჯავს; თეი-  
თან ქალაქში—3,960 მან. და უეზდებში—  
დანარჩენი—59,480 მან. შკოლებსა და სას-  
წავლებლების რიცხვი მთელ გუბერნიას იყო  
—324. ამ შკოლებში—14,958 ვაჟი და  
1,450 ქალი დაიარება.

\*\*\*

შინაგანი საქმეების მინისტრს დაუმტკიცე-  
ბია მდგისის სამეურნეო სასწავლებლის პრო-  
ექტი, რომელიც ამ ქალაქის ერობას წარუდ-  
გენია დასამტკიცებლათ. ამ შკოლაში 60  
ყმაწვილი უნდა სწავლობდეს; ამ თავით გან-  
საკუთრებით ყურადღება სასოფლო ოჯახო-  
ბას და პირუტყვის მოვლას ექნება მიქცეული.  
სწავლა გაგრძელდება სამ წელიწადს.

\*\*\*

საზოგადოება, რომელიც ტენიკოლოგიურ  
ინსტიტუტის სტუდენტების დასახმარებლათ  
არის შემდგარი პეტერბურლში, ამ სტუდენ-  
ტებისთვის იაფი სადილების გამართვას აპირებს,  
ისე რომ ყოველ ღარიბ სტუდენტს შეეძ-  
ლოს იქ სადილის ჭამა; და ვინც ძალიან  
ღარიბია, იმათთვის სადილები მუქთად ექნება.

\*\*\*

ლიჭლანდიაში პატარა სოფელს ვერ ნახათ,  
რომ შკოლა არ იყოს გამართული. მაგ-  
რამ, როგორც სხვაგან, სასოფლო შკოლე-  
ბის მასწავლებლები დღემდე აქაც ცუდ მდგო-  
მარეობაში იყვნენ. ახლა აქ გამოვიდა ახა-  
ლი წესდებულება სასოფლო შკოლების მას-  
წავლებლების შესახებ, რომლის ძალით ყო-  
ველ სოფელს რამდენიც ჰსურს, იმდენი ჯა-  
მაგირის დანიშვნა შეუძლია სოფლის მასწავ-  
ლებლებისთვის, მაგრამ ეს ჯამაგირი წელი-  
წადში 200 მანეთზე ნაკლები მაინც არ უნ-  
და იყოს. ჯამაგირი სოფელს ან ფულათ  
შეუძლია მისცეს და ან იმდენი მიწა უნდა  
მისცეს, რომ იქიდან ორასი მანეთი შემოსავა-  
ლი ჰქონდეს.

\*\*\*

იაროსლავის გუბერნიის ერობას ათ ი თა-  
სი მანეთი გადაუღვია სასოფლო ბანკების  
გასახსნელათ. მითო უეზდისათვის ამ თავით  
ათას-ათასი მანეთია დანიშნული.

\*\*\*

იმ კომისიას, რომელიც ბეჭდვის კანონების  
გადასახედვით იყო პეტერბურლში დანიშნუ-  
ლი, გაუთავებია თავის საქმე და, როგორც  
„მოსკოვის უწყებებში“ სწერენ, სექტემბერში  
ახალი ბეჭდვის კანონები გამოვა. ეს ახალი  
კანონები პროვინციალურ ბეჭდვის საქმესაც  
შეეხება.

\*\*\*

ძიევის გუბერნიასში ერთი ცოლიანი სალ-  
დათი, სამსახურის ვადის გათავების შემდეგ,  
დაბრუნებულა თავის სოფელში და უნახავს,  
რომ იმის სხვაგან ყოფნაში ოჯახს ერთი  
შვილი მომეტებული შეძენია. სალდათმა ჯერ  
ყვედრება დაუწყო თავის ცოლს, მერე რამ-  
დონჯერმე სცემა და შემდეგ უთხრა თურმე,  
რომ არც შენ და არც შენ შვილს ქვეყანაზე  
ცოცხალს არ გავიშვებთო. მრთ დილას ისი-  
ნი სალდაც სოფელში მიდიოდნენ და გზაზე  
სამიკიტნოსთან გაჩერდნენ. მმარმა გამოუტ-  
ხადა აქ ცოლს, უთუოთ ესლავ უნდა დაგარ-  
ჩოო. ღედ-კაცი იმწამსვე გაიქცა თურმე  
კისკენ, ჩაგდო შიგ თავის შვილი და მერე  
ყველაფერი ამბავი უთხრა იქვე მყოფ გლეხ-  
კაცებს. ის, რასაკვირველია, იმწამსვე დაიჭი-  
რეს და ახლა სამართალშია მიცემული.

\*\*\*

პეტერბურლში არის „სამეურნეო კოლონი-  
ების საზოგადოება“, რომლის დანიშნულება,  
როგორც, მგონია, ერთხელაც იყო „ღრობა-  
ში“ მოხსენებული, ის არის, რომ რომელსამე  
ალაგას გამართოს სამავალითო მეურნეობა

და შკოლები და დასახლოს და ასწავლოს  
იქ ახალ-გაზდა დამნაშავეებს, რომ შემდეგში  
პატიოსნურათ ლუკმა-პურის მოპოების შეძ-  
ლება ჰქონდეთ. მმართველობამ მისცა ამ  
საზოგადოებას პეტერბურლის ახლოს 262  
დესეტნა მიწა, რომელზედაც წელს, შემო-  
დგომამზე, პირველი კოლონია უნდა გაიმარ-  
თოს. საზოგადოებას ამ საქმისთვის 18,000  
მანეთი გადაუღვია. ამ თავით კოლონიაში  
მარტო 30 ყმაწვილს მიიღებენ.

\*\*\*

ბესარაბილამ იწერებთან ვაჭეთს „ხზში“,  
რომ შარშან იენისში რომ გლეხების არე-  
ლება იყო აქ, იმისთანა არეულება წელსაც  
არისო. ამ არეულობის მიზეზი, კორრესპონ-  
დენტის სიტყვით, ის არის, რომ მომრიგე-  
ბელ მოშუამდგომელებს რივიანათ არ აუხ-  
ნიათ გლეხებისთვის „ბატონ-ყმობის წეს-  
დებულება“. მუშეა წელსაც რამდონსამე სო-  
ფელში არეულა ხალხი, მაგრამ ჯოხის და  
თოფის ხმარებამდე საქმეს არ მიუღწევია.  
მხოლოდ ორი სოფლის ხალხი ძალიან ცუდ  
მდგომარეობაში არის, რადგან, ამ არეულო-  
ბის გამო, იქ ვგზეკუტია ჩაუყენებიათ.

\*\*\*

### უცხო ქვეყნები

საზრანგეთი

იმ სახელმწიფო სესხზე, რომელიც საფრან-  
გეთის მმართველობამ გამოაცხადა, მარტო პა-  
რიჟმა 2,700 მილიონზე მოაწერა ხელი; და-  
ნარჩენ საფრანგეთში და სხვა ქვეყნების ბან-  
კირებმა ორ მილიარზე მეტი მოაწერეს  
ასე რომ ხელის-მოწერა სულ ხუთ მილიარდა-  
მდე ავიდა; მმართველობამ კი მარტო ორი  
მილიარდი სესხი გამოაცხადა. ეს გარემოება  
ცხადათ ამტკიცებს, რომ საფრანგეთს კიდევ  
აქვს შეძლება და ნდობა.

— იენისის 18-ს შამბეტა დაბრუნებულა  
პარიჟში. ამ თვის 17-ს იმასთან ბორდოში  
რესპუბლიკური კამიტეტის დებუტატები იყ-  
ვნენ, რომელთაც შამბეტამ უთხრა, რომ აღი-  
არებს ახლანდელ მმართველობას, რომელმაც  
თავის მოქმედებით დაამტკიცა, რომ სიმართ-  
ლე და ძალა აქვს. შამბეტას აზრით, ამ ქმად  
საფრანგეთში ქველასზე მომეტებული ყურად-  
ღება ხალხის განათლებასა და სამხედრო ძა-  
ლის შემატებას უნდა ჰქონდეს მიქცეული.

— მერსალიდამ 15 ათასი სალდათი გაუგზავ-  
ნია მმართველობას ჟონტენებლოში, სადაც  
პარიჟის ინსურგენტების საქმეები უნდა გაარ-  
ჩიონ. მმართველობას ეშინია, რომ ამ დროს  
აქ არეულობა არ მოხდეს და ეს ჯარიც იმი-  
ტომ გაუგზავნია.

— ღენერალი ბურაჟი სრულიად მორჩე-  
ნილა დაპრილობისაგან (მკითხველს ესსომება,  
რომ იმან თავისმოკლა მოინდომა და მა-  
შინ დაიჭრა). ბაზეთებში სწერენ, რომ ბურ-  
ბაჟის იმ ჯარის უფროსად ნიშნავენ, რომე-  
ლიც ლიონში იქნება დაყენებულიო. შულ-ჟა-  
ერს სამსახურიდან თავის დანებების თხოვნა  
შეუტანია სამინისტროში; იმის მაგიერათ, რო-  
გორც ამბობენ, გარეშე საქმეების მინისტრათ  
გერცოგი ბროილი დანიშნება.

— რადგანაც საფრანგეთს ფულები უჭირს,  
ამის გამო მინისტრების რჩევაში მოლაპარა-  
კება იყო თურმე სხვათა შორის იმაზედ, რომ  
ჯარის რიცხვი შეეამცირათო, რადგან ჯარს  
ბევრი ფულები სჭირდებაო. მაგრამ ტერის  
უთქვამს, რომ, თუ ჩვენ ჯარს ერთი სალდა-  
თი მოაკლდა, მე სამსახურს თავს ვანებებო;  
ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვართ ახლა, რომ  
სამხედრო ძალის მომატება გეჭირია და არა  
შემცირებაო. ამასთანავე ტერის პარიჟის ჟარ-  
ტების გამაგრებაზედაც მიუქცევია ყურადღება.

— მრთს ფრანკულუზულ ვაჭეთში სწერენ,  
საფრანგეთის სამხედრო მინისტრი აუარებელ  
საამარ მასალებს ამზადებსო; სხვათა შორის

სანტ-მარტინის და შატელორის სათოფე ფაბ-  
რიკებში ყოველ დღე 1000 ტონაზე უმზადდენ  
თურმე მმართველობის შეკვეთით. მისსა და  
და მმართველობას ამერიკაში, ინგლისში  
და ბელგიაში შეუყვითა თურმე თოფები,  
ზარბანები და სხვა საომარი იარაღები. ზერ-  
საფრანგეთს უკანასკნელი ომისაგან აღწერილი  
სისხლი არ შეშრობია, მორიგებაც არ გათა-  
ვებულა ჯერ—და მეორე ომისთვის ემზადე-  
ბიან. ამ მზადების აზრი, რასაკვირველია, ის  
არის, რომ საფრანგეთს ჰსურს დაბრუნოს  
უკან მლხასი და ლოტარინგია, რომელნიც  
ბერმანიამ წართვა. მაგრამ ბერმანიაც თავის  
მხრით, როგორც ამბობენ, დიდ მომზადება-  
შია თურმე.

— შშთაერსი ყურადღება საფრანგეთის  
მმართველობას ამ ქმად სამხედრო საქმეებზე  
აქვს მიქცეული. ტერის აზრით, შინაგანი  
მშვიდობიანობის დასაცველათ საფრანგეთისა-  
თვის 400,000 მუღამა ჯარი საკმაოა. მმინაო-  
ბის დროს კი ამას უკანასკნელი 700,000 რე-  
ზერვი უნდა მიემატოს, ასე რომ საფრანგეთს  
ერთ მილიონზე მეტი ჯარის გამოყენა შეეძ-  
ლოს ბრძოლის ველზე.

— მრთს ინგლისურს ვაჭეთში დაბეჭდილია  
მრლენისტებისა და ბურბონების პროგრამა,  
რომელიც შედგენილია იმ შემთხვევისთვის—  
თუ უკანასკნელ ამორჩევებში მონარხიელები  
გაიმარჯვებენ. მანამ ნაციონალური ძრების  
მონარხიულმა პარტიამ უნდა შეადგინოს საფ-  
რანგეთისათვის ახალი კონსტიტუცია, რომე-  
ლიც მთელმა ძრებამ უნდა დაამტკიცოს;  
შემდეგ გრავ შამბორს უნდა სთხოვონ, რომ  
საფრანგეთის ტახტზე დაჯდეს. მუ შამბო-  
რი არ დათანხმდება, კრებამ პარიჟის გრაფს  
უნდა სთხოვოს გვირგინის მიღება.

— მერსალიდამ არის ტელეგრამა, რომ  
იენისის 16-ს ფინანსის მინისტრს ნაციონალუ-  
რი ძრებისთვის საფრანგეთის უკანასკნელ სესხ-  
ზე ხელის-მოწერის ანგარიში წარუდგენია. ამ  
ანგარიშიდან სჩანს, რომ 15 იენისს, ექვსი საათის  
განმავლობაში, 4,500 მილიონზე მოაუწერიათ  
ხელი. მარტო პარიჟს შეუტანია 2 1/2 მილი-  
არდი, დანარჩენ საფრანგეთის პროვინციებს  
—ერთი მილიარდი და სამზღვარ გარეთელ ბან-  
კირებსაც—ერთი მილიარდი. ეს გარემოება  
სთქვა ფინანსის მინისტრმა, ჩვენ ვგაძღვებს  
ღონისძიებას ავასრულოთ ის ვალდებულება,  
რომელიც ბერმანიასთან გეჟონდა, და დანიშ-  
ნულ ვადაზე აღრე განვათავისუფლოთ ჩვენი  
პროვინციები ნემცების ჯარებისაგან, რომელ-  
ნიც ამ ქმად იქ არიან ჩაყენებულნი.

— რესპუბლიკურმა კამიტეტმა გამოაცხადა  
თავის პროგრამა, რომელშიაც მოხსენებუ-  
ლია შემდეგი მოთხოვნები: ამ პარტიისა;  
„რესპუბლიკური მმართველობის ფორმის და-  
მკვიდრება; ყოველი მოქალაქე ვალდებული  
უნდა იყოს იმსახუროს სამხედრო სამსახურ-  
ში, ეკლესია და სახელმწიფო არ უნდა ერი-  
ოდნენ ერთმანეთის საქმეებში; პირველ-დაწ-  
ყებითი სწავლა ვალდებულებითი და უფასო  
უნდა იქნეს.“

— მრთს პარიჟის ვაჭეთში სწერენ, რომ  
კომუნის სიქმეების გამოძიება გაუთავებია  
მმართველობისაგან დაყენებულ კომისიას და  
ახლა ამ საქმეში გარეული დამნაშავეების გა-  
სამართლებსა დაიწყებო. პირველათ გარ-  
ჩევენ რომ შორის საქმეს, რომლის დაძველათ  
გამოჩენილი პარიჟის ადვოკატი — ლაშო —  
იქნება. შემდეგ უნდა წარდგეს სასამართლოს  
წინ ასი და მერე როსელი, რომელთაც  
ისეთი მნიშვნელობა ჰქონდათ უკანასკნელ  
პარიჟის არეულობის დროს. ამბობენ, რომ  
მმართველობას ეშინია ამ საქმეების გარჩევის  
დროს პარიჟში კიდევ არეულება არ ასტყდე-  
სო.

### ამსტრია და შინბრია

ვენის რეისრატის პოლშელომა დებუტატებ-  
მა შემდეგი უფლების მინიჭება ითხოვეს  
თავიანთი ქვეყნისათვის (ბალიციისთვის):  
„შნივერსიტეტებში და სხვა ყველა უმაღ-  
ლეს სისწავლებლებში სწავლა, ნემცური  
ენის მაგიერათ, პოლშურ ენაზედ უნდა იყოს;  
ნემცური თეატრები უნდა გაუქმდეს; სასამარ-  
თლოებში საქმეების განხილვა მხოლოდ პოლ-  
შურათ უნდა იქნეს; ვაჭრობისა და ფინანსის  
სამინისტროებში მინისტრების სოვეტნიკებთ  
რამდენიმე პირი პოლშელებთაგან უნდა იყ-  
ვნენ.“ მრთს ვენის ვაჭეთში სწერენ, რომ

ახლანდელმა პეტროვის მინისტრების პრეზიდენტმა — გრაფ ბოგოვარტმა გამოაცხადა რომ ეს პოლიტიკის სურვილის ასრულება შესაძლებელია.

ინგლისი

ინგლისის პარლამენტში არის ახლა მოლაპარაკება იმაზე — დეპუტატების ამორჩევის დროს კენჭის ყრა საიდუმლოთ უნდა იყოს, თუ ყველა უნდა ხედავდეს-ენ ვის როგორ კენჭს უგდებდა? მრამოცი წელიწადია, რაც ინგლისის პარლამენტში თითქმის ყოველ წელიწადს არის ამასზე ლაპარაკი და რადიკალურ დეპუტატებს დღემდე ვერ აუსრულდათ თავიანთი წადილი, რომ კენჭის ყრა საიდუმლოთ იყოს. ამ საგანს ინგლისში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მკითხველმა იცის, რომ მთელი ინგლისის მიწები რამდენსამე ლორდებს ეკუთვნით, რომელიც ჭრამერებს აქირავენ თავიანთ მამულებს, რადგან თვითონ იმთ მოვლის თავი არა აქვთ. ეს ჭრამერები, რომელიც ლორდების მიწებზე არიან დასახლებულნი და რომელიც მასასადამე იმთგან არიან დამოკიდებულნი, ამორჩევის დროს, უმეტესად, ვერ ბედავენ ცხადთ შვიი კენჭი ჩაუგდონ ლორდებს, რომელთაც პარლამენტში დეპუტატობა ჰსურთ. კენჭის ყრა რომ საიდუმლო იყოს, კაცმა რომ ვერ შეიტყუას — ენ ვის როგორი თეთრი თუ შავი კენჭი ჩაუგდო, მაშინ, რასაკერძეულია, ამორჩევილები (ჭრამერები) ხშირათ არ ამორჩევენ თავიანთ მიწის პატრონებს (ლორდებს) და მათ ნაცვლათ ისეთ პირებს გაგზავნიდნენ პარლამენტში, რომელიც უფრო მოსწონთ და რომელთაც იმათი მდგომარეობა და სარგებლობა უკეთ იციან. ამიტომაც ინგლისის კონსტიტუციური პარტია და მდიდრები არ ეთანხმებიან, რომ კენჭის ყრა საიდუმლო იყოს. მაგრამ ახლა ინგლისის პარლამენტში ბევრი ამორჩევი თურმე საიდუმლო კენჭის ყრის მომხრეები, ასე რომ, იმედია, პარლამენტი დამტკიცებს ამ წინადადებას.

გამარანი

შემდეგი მაგალითი ამტკიცებს — როგორ უყვართ ნემსები ახალ დაპყრობილ ლატარიზებისა და მლზანის ფრანკულებს. „მაღენის გაზეთში“ იწერებინ სტრასბურლიამ: „მუშინდელ დღეს აქეთ ჩვენი ქალაქი ძალიან აღვლევებოდა: ქუჩებზე, დუქნებში და სასტუმროებში აუარებელი ხალხია შეკრებილი; ყველა ძალიან გაბრაზებულია და ნემსებს ლანძღვენ. მუშინ დაბრუნდა ბერმანი იდამ აქ ერთი მლზანელი სალდათი, რომელიც დატყვევებული იყო; ქუჩაზე მოგროვილ ხალხს ელაპარაკებოდა ის — როგორ ცუდათ ეპყრობოდნენ ბერმანს იმ და რამდენი ვაჭრებმა და დამკირება მიაყენეს იქ ფრანკულების ტყვეებს. ცოტა ხანს შემდეგ ამ სალდათსა და ერთს ნემსის ყრაულს ჩხუბი მოუვიდათ. ნემსს სხვა ნემსები მიეშველენ, ფრანკულსაც თავიანთ მომხრეები ამოუჩინდნენ; შეიქნა საშინელი ჩხუბი, რომელიც, სანამ ერთი როტა სალდათები არ მოვიდნენ, მანამ არ დაწყებულა. ღღესაც ქალაქში ძალიან აღვლევებოდა ხალხი, ყველგან ქუჩებზე ჯარები დგანან და კაზარმებშია ცხადთ არიან.“ — მუშა-ხალხის არეულობა დღემდე ყველაზე უფრო ხშირათ საფრანგეთში და ინგლისში იყო. ახლა, როგორც სჩანს, ბერმანიელი მუშებიც აცხადებენ თავიანთ უკმაყოფილებას. ინგლისის 17-ს ბრესლაველში მუშებს არეულობა მოუხდენიათ. ამის წინა დღეს ქენიგსტუტში ყოფილა საშინელი არეულობა: მუშებს ძირაწათ მოუთხრიათ ერთი სახლი, რომელშიაც იმათი პატრონები იდგნენ; შემდეგ ისინი წასულან ქალაქის ნაობახში და დაჭერილები გაუთავისუფლებიათ; ამას გარდა მუშების გროვებს მდიდარი მალაზიები და სა-

სტუმროები გაუცარცვავთ. სალდათს და მეორე დღეს მახლობელ ქალაქიდან ერთი ბათალიანი სალდათები მოსულან და დაუწყნარებიათ მუშები; ამ დროს 60 კაცი-მოთავეები-დაუტყვევებიათ, 7 მოუკლათ და 20-მდე დაუჭრიათ.

მსანანი

18 ივნისს მსანანის ქორტესების სხდომაში ისეთი ამაგი მოხდა, რომელიც მეროპის პარლამენტში მხოლოდ რევოლუციისა და განხეთქილების დროს მოხდებოდა ხოლმე, ისიც ძალიან იშვიათად. ამ დღეს ქორტესებში მოლაპარაკება იყო კარლისტების წინადადებაზე — მიულოცოთ რომის პაპს 25 წლის იუბილემ, თუ არა? ამ საქმის თაობაზე ერთმა დეპუტატმა სთქვა რამდენიმე სიტყვა, რომელიც მეორე დეპუტატს არ მოეწონა; ამათ შუა შეიქნა ჯერ გაცხარებული ლაპარაკი, მერე გინება დაუწყეს ერთმანეთს და შემდეგ ერთმა ამთგანმა გაიქნა ხელი და ისეთი სილა აქამა მეორეს, რომ იქვე წააქცია. იმ წამსვე მთელი კრება წამოვარდა ფეხზე და დეპუტატები ორ პარტიათ გაიყვნენ; შეიქნა საშინელი არეულობა, სიღების ქმევა, მუშტებიოთა და ჯოხებით ერთმანეთის ცემა ზურგზე და თავპირში. ნახევარი საათის შემდეგ, როცა ხალხის წარმომადგენლებმა კარგათ მიღეწეს ერთმანეთი, კრება დაწყნარდა და პრეზიდენტმა იმწამსვე დახურა სხდომა. მეორე დღეს სხვა და სხვა პარტების დეპუტატები ერთს კერძო სახლში შეიკრიბნენ და ბოდიში მოითხოვეს ერთმანეთის წინ.

იტალია

ინგლისის 17-ს იტალიის კოროლი, მიქტარ მმანუელი, რომში მისულა. ხალხი აღტაცებით დახვდნია იმას და იმ ღამეს ქალაქი გაჩაღებული ყოფილი. ამ დღესვე ყველა კარდინალებს მოუყრიათ პაპთან თავი და მოლაპარაკება ჰქონიათ იმაზე, თუ სად უნდა წაედღეს პაპი, როდესაც იტალიის კოროლი გადმოვა რომში? მადაუწყვეტიათ, რომ, თუ პაპს რომიდან წაბრძანება მოუხდა, ისევე ქორსიკაში უნდა წაედღეს.

— ბაზეთებში სწერენ, იტალიის იუსტიციის მინისტრი ამ მოკლე ხანში შეიტანს პარლამენტში წინადადებას, რომ სიკვდილით მძიმე დანაშაულებების დასჯა იტალიაში მოესპოთა. — ხალხთა-შორისი მუშების ასოციაციის წევრები იტალიაშიც ძალიან ბევრი არიან. როდესაც პარიკში არეულობა იყო, ისინი შეშფობას აღვლედნ აჯანყებულებს და თავიანთ საკუთარ გაზეთში პირდაპირი თანაგრძნობა გამოაცხადეს ქომუნის წადლის და მოქმედებისა. ამის გამო კომიტეტი, რომელიც იტალიელი წევრების საქმებს განაგებდა და რომელიც ქლორენციაში იმყოფებოდა, მმართველობის განკარგულებით, ივნისის 20-ს დაიხურა.

ნარევი

მთი ბელგიურ გაზეთში სწერენ, რომ ნაპოლეონის ცოლმა — მეგენიმ — თავის მარგალიტები რვა მილიონ ფრანკთა გაყიდა. მკითხველს ესომება, როგორ ამართლებდა პიეტრი შარშან ნაპოლეონს, რომ იმას ერთი კაპეის ქონება არ გაუყოლებია საფრანგეთი-დამა. ამ ყამად ნაპოლეონს ფულები საფრანგეთში მომხრეების საშოვნელათ და აგენტების მოსასყიდველათ დასჭირებია.

ნაპოლეონი და იმის ოჯახი ყოველი ღონის-ძიებით სცილილბენ თურმე ინგლისში, რომ იქაური მუშა-ხალხის თანაგრძნობა დამსახურბონ. ამას წინეთ თვითონ გარდაუყენებელი იმპერატორი ყოფილა ლონდონში მუშების მიტინგზე და ერთს მუშას უთქვამს იმისთვის, რომ თქვენ უსათუთ ხელ-ახლავ დაბრძანდებით საფრანგეთის ტახტზე. ამ გვარი ხეობით ნაპოლეონს მსურს მიიხზროს თავისკენ „ხალხთა-შორისი მუშების

ასოციაცია“, რომ იმის შეშფობით მომხრეები გაინონს საფრანგეთში...

ამ მოკლე ხანში ჩინეთში ისეთი მიწის-ძვრა ყოფილა, რომ ერთი ქალაქი სრულიად დაუშვობია; კვირანახევის განმავლობაში არ დაწყნარებულა მიწის-ძვრა; იმას ორი ათასზე მეტი სახლი დაუტყვევია ბათანგის ქალაქში, და 2,300 კაცი და ქალი ამოუტყვევია. მცხოვრებლები ექვსასი ვერსის სიგრძეზე გრძობდნენ თურმე ამ საშინელ მიწის-ძვრას.

ზოგიერთ იტალიის პროფესორებს თხოვნა მიუციათ მინისტრებისთვის; რომელთაც სთხოვეს, საფრანგეთის მმართველობის წინ იშუბადგომლონ, რომ ლ-სეცილიას აპატიონ პარიკის არეულობაში მონაწილეობის მიღება. „ჩვენ იმიტომ ვთხოვლობთ ლ-სეცილიას პატიებასა, ამბობენ პროფესორები, რომ ის ძლიერ გამოჩენილი სწავლული და ძველბურთი გვარის შვილია“. მინისტრებს ამ თხოვნისთვის უპრადლება არ მიუტყვევიათ.

ქანასკნელ პარიკის არეულობაში ფრანკულებსა და პოლშელებს შუა დიდი თანაგრძნობა იყო: საფრანგეთის მმართველობა ყოველ პოლშელ ემიგრანტს იფარავდა თავის ქვეყანაში და ხშირათ ცხოვრების საშუალებასაც აძლევდა იმას. პოლშელებისთვის საფრანგეთში ცალკე სასწავლებლები და ლიცეები იყო გახსნილი. მაგრამ მას შემდეგ რაც პოლშელებმა ისეთი მონაწილეობა მიიღეს პარიკის არეულობაში, საფრანგეთის მმართველობა გაურისხდა იმათ: ყველა პოლშელი ემიგრანტი, რომელიც საფრანგეთში მსახურბენ, გამოუღდათ სამსახურიდან, და ვინც კომუნაში ყოფილა გარეული, იმთ საფრანგეთიდანაც უპირბენ გაგდებას. პოლშელებისთვის სასწავლებლები რაც იყო პარიკში გამბრთული, ყველანი დაუხურბათ.

ღვთის-მეტყველების დოქტორის — პიხლის — საქმე, რომელმაც პეტრბურლის პუბლიკური ბიბლიოთეკიდან რამდენიმე ასი წიგნის მოპარება აბრალბენ, წასული თვის დამლევს გაირჩეოდა ოლქის სასამართლოში. თვითონ ამ სწავლულის დამცველათ პრესენივი უნდა ყოფილიყო, და მოახლეს დაეცა, რომელიც ემბრებოდა იმას ნაქურდალის დამლაგაში, იკისრა მეორე გამოჩენილმა ადვოკატმა — სპსოვიჩმა.

პარიკის პოლიციამ გამოსცა იმ ზიანის ანგარიში, რომელიც ამ ქალაქს და იმის ახლო-მახლო ადგილებს ნემსებისაგან და კომუნისაგან მიეცა. ამ ანგარიშიდან გტყობლობთ, რომ მართა პარიკში — 1540 სახლი დამწვარა და დაუნგრევიათ; მართა უძრავი საქონელი 600 მილიონი ფრანკის დაღუპულა; 200 მილიონის ზიანი პარიკის გარეშე მოსვლბებს და ქალაქებს მოსცემიათ.

იმ ადგილებზე, სადაც კი წასულ ომიანობის დროს ბრძოლა იყო, ერთ ამწვანებულ ხეს ვეღარ იპოვის თურმე კაცი: თოფის წამალს სულ ძირიანათ გაუხშიათურმე ყოველნაირი მცენარეები.

იტალიის და ზოგიერთ სხვა დიდ ქალაქებში პატარა ბიჭები დაიარბინან ხოლმე ქუჩებში, ვაქსი და ჩოთქი დაქვე და თუ ვისმე მსურს წადებს გაუშენდენ იქვე ქუჩაზე. ბევრი ლარბების შეილები ამითი ირბენ თავს. ამას წინეთ სამი ფრანკის მღვდელი იდგათურმე ერთს რომის ქუჩაში და რაღაც ძველს ათავლიებდნენ. ამ დროს იმათთან მივიდა ჩოთქით ერთი პატარა ბიჭი, დახედა იმთ გამტყვერბანებულ წადებს და უთხრა: „სარკესავით გავაზიოლებ, თუ გამაშენდინებთ!“ მთბმა პატრთაგანმა ამოილა ჯიბიდან რამდენიმე კაპეი და გაუშვირა პატარა ბიჭს: „პა! წადე და ილოცე რომის პაპისათვის!“ „პაპისთვის ვილოცო! სრულიად არ მსურს ტყუილად დროს დაკარგვა!“ დიძახა პატარა ლაცარონემ და გაიქცა. ამისთანა მარჯვე პასუხისათვის მყოურბლებმა ტაში დაკრეს პატარა ბიჭს და რამდენიმე ფრანკი თეთრი ფული ჩაუყარეს ხელში.

განცხადება საქართველოში პირველი რვეული თხზულება დიმიტრი ბაქრაძისა. კაპაზია.

I. საზოგადო მიმოხილვა. — შეველეს ქვეყნის ისტორიათ ირიცხებინ გეოლოგია და ენები. რას გვიამბობს გეოლოგია. — მნებთ ვიცით, რომ კაცობრიობის წინაპარი გაჩენილან საშუალო აზიაში და იქიდან გავრცელებულან ქვეყნის პირზე. — სულ ძველად შეიძროდ დაშვარბულს საზოგადოებას ვპოულობთ შინიკაში და მეგობტეში.

II. მცირე აზია. — რა მნიშვნელობა აქვს მცირე აზიას ჩვენი ისტორიისთვის. — სულ ძველად მცირე აზიაში ვპოულობთ სემიტებს და არილებს. — მოკლცინობა ამ ტომებზე. მცირე აზიის არილებთ შორის შეინიშნებინ სომხებიც და ქართველებიც. ჰეროდოტე. — ჰეროდოტეს სიტყვით ჩვენი მხარე. — ტოლმიდენი.

III. ქავკაზია. — იმისი გეოლოგიური ისტორია. — სხვა და სხვა თქმულება წარდნაზე. — ეს თქმულება გეიჩენებს უძველეს გეოლოგიურს მოვლენას. — საიდან წარმოსდგა ლექსი „ქავკაზია“. — ამ ლექსის ისტორია.

IV. ბერძნების კოლონიები შავი-ზღვის პირად. — სტრამონი. — როგორ გაავრცინებთ სტრამონი ქავკაზიის ადგილებს და ტომებს. — სტრამონის იბერია და აღბანია. — მსენფონტეს სურათით მესხეთი.

V. შეველეს უცხო-ტომთ კვალი ქავკაზიაში. — ამ კვალს ვპოულობთ აქაურს ენებში, სხვა და სხვა გეოგრაფიულს სახელწოდებებში, სარწმუნოებებში, ზნეობაში და ყოფა — ცხოვრებაში.

ისყიდება: თბილისში, მელიქიშვილისა და ქაპ. სტამბაში.

ბოროში, უეზიდის სასწავლებელში, შ. ხიტარა-შვილისას, მ. თ. ა. ს. შ. ი, სასულიერო სასწავლებელში შ. ძალანდარიშვილისას. შავის წიგნისა გაუგზავნელად, თფილისში 50 კობ., გაგზავნით, თფილისს გარეთ 60 კობ.

ბიბლიოგრაფიული განცხადება:

ამ ახლო ხანებში გამოცა სრულათ დაბეჭდილი

წიგნი სიბრძნე სიცრუისა თქმული საბა სულხან მრბელიანისაგან.

ამ დღებში გამოცა, რუსულს ენაზედ, მელიქიშვილის და კომ. სტამბიდან პატარა წიგნი, სახელით

თფილისის ბანკის დანიშნულება მ. გ. მ — ს.

შინაარსი: I. ადგილობრივის ორგანის, „ქავკაზის“, მონაწილეობის მიღება საზოგადო საქმეებში.

II. ამ ბროშურის დანიშნულება: შეუღების საქმე თფილისის გუბერნიაში.

III. ბანკის დაწესებისაგან კრედიტის მიმართულების მოთხოვნილება.

IV. პრაქტიკული მხარე თფილისის ბანკისა კრედიტის დასაკმაყოფილებლათ.

V. თფილისის სათავად-აზნაურთა ბანკის პროექტის ხასიათი.

VI. წერილობანი შენიშვნები თფილისის სათავად-აზნაურთა ბანკის შესახებ.

VII. დასკვნა. შავის — 40 კაპ.